

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი



სახელწოდება: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული სტანდარტი;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტურიზმის დეპარტამენტში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
- საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
- ტურისტული ჯგუფის მართვა;
- ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
- პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 124 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	2	ადმოსავლეთსაქართველოში ტურის განხორციელება	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	12	დასავლეთსაქართველოში ტურის განხორციელება	5
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	6	სამხრეთ საქართველოში ტურის განხორციელება	5
მეწარმეობა	5	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	საქართველოს მთიანეთში ტურის განხორციელება	5

პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია	5		
უცხოური ენა	5	ტურიზმის ინდუსტრია	6		
		ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა	4		
		ქართული კულტურა და ხელოვნება	5		
		უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახარება	3		
		ექსკურსიის მომზადება	5		
		პრობლემური სიტუაციების მართვა	3		
		ტურის სარგანიზაციო სამუშაოების განხორციელება	5		
		ტურისტული ჯგუფის მართვა	4		
		ექსკურსიის ჩატარება	5		
		მუზეუმის ტურის წარმართვა	3		
		ღვინის ტურის წარმართვა	3		
		რელიგიური ტურის წარმართვა	3		
		დარგობრივი უცხოური ენა ინგლისური საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისთვის	5		
სულ:	20	სულ:	84	სულ:	20

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ისი“ საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველაზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20კრედიტი.